# ლაპარაკის ნაწილის დავალებები

## I დავალება.

**პირველი შეკითხვა.**
*რომელ მხატვრულ ნაწარმოებს შეურჩევდით თქვენს მოსწავლეებს სპექტაკლის დასადგმელად და რატომ?*

**მეორე შეკითხვა.**
*ვისთან ერთად გირჩევნიათ შვებულების გატარება: მეგობრებთან თუ ოჯახის წევრებთან?*
*პასუხი დაასაბუთეთ.*

## II დავალება.

*გაიხსენეთ ყველაზე დასამახსოვრებელი ბავშვობისდროინდელი არდადეგები:*

- გვიამბეთ, რით იყო გამორჩეული ეს არდადეგები.
- აღწერეთ თქვენი მაშინდელი განცდები და შთაბეჭდილებები.

## III დავალება.

მოისმინეთ სიტუაციის აღწერა და იმსჯელეთ არგუმენტირებულად.

**სიტუაცია:**

მასწავლებელთა კოლექტივში კამათი წამოიწყეს – რამდენად გამართლებულია, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებელს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეთ. ზოგის აზრით, ეს ხელს უშლის დისციპლინის დამყარებასა და სასწავლო პროცესს.

როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?

*არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია!*